საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული ინფორმაცია

2023 წლის ნოემბერი

1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები

წინამდებარე ინფორმაცია მომზადდა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან ერთად და წარმოადგენს 2022 წლის ბოლოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით“ წარმოდგენილ საშუალოვადიანი ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებთან შედარებით ანალიზს.

2022 წელს 2021 წლის მსგავსად (10.5%) მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ კვლავ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია და 10.4 პროცენტზე დაფიქსირდა. 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდგომ, უარყოფითი მაკროეკონომიკური რისკების ნაწილობრივი რეალიზების პარალელურად, მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა როგორც საშინაო, ისე - საგარეო სექტორები. საგარეო სექტორის გამოცოცხლება აისახა როგორც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის, ისე - ფულადი გზავნილების ზრდით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურიზმის სექტორის სწრაფი ტემპებით აღდგენა, საიდანაც მიღებულმა შემოსავალმა 7.6%-ით გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს. გააქტიურებული საგარეო სექტორის პარალელურად მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაფიქსირდა შიდა ინვესტიციების ზრდის მიმართულებითაც, რომელთა შედეგადაც 2022 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 10.4 პროცენტს მიაღწია.

დადებითი და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური ტენდენციები გაგრძელდა 2023 წელსაც. პირველ და მეორე კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ შესაბამისად 7.7 და 7.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო მესამე კვარტლის საშუალო ზრდა 5.4 პროცენტზე დაფიქსირდა, რის შედეგადაც პირველი 9 თვის საშუალო ზრდამ 6.8 პროცენტი შეადგინა. 2023-2026 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების წინასწარ პროგნოზებში 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.0 პროცენტს შეადგენდა, 2024-2027 წლების პროგნოზების მიხედვით კი 2023 წელს მოსალოდნელია 6.5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა პირველი 9 თვის მონაცემებით ეკონომიკა მოსალოდნელზე უფრო მაღალი მაჩვენებლით იზრდება. რაც შეეხება საშუალოვადიან პროგნოზებს, ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5.1 პროცენტზეა 2024-2027 წლებისთვის. საბაზისო სცენართან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც განსხვავდებიან სხვადასხვა რისკის რეალიზაციის ალბათობებით, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკაზე დადებითად ან უარყოფითად.

წარმოდგენილ ცხრილებში 2024 წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართული საშუალოვადიანი პროგნოზები შედარებულია 2022 წლის დეკემბერში წარმოდგენილ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით და მსოფლიოში მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე კვლავ არ არის მკაფიო ეკონომიკის გაჯანსაღების სისწრაფე და გართულებულია ეკონომიკური აქტივობების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, კვლავ არის მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მატერიალიზაციის რისკი, თუმცა ამავე დროს, 2023 წლის არსებულ (იანვარ-ოქტომბრის) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში შეინიშნება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა და ეკონომიკური ზრდის დაგეგმილზე კიდევ უფრო მეტი პოტენციალი. არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, 2023

წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უფრო მაღალ მაჩვენებელზეა პროგნოზირებული, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზები კვლავ 5.1 პროცენტის ფარგლებშია წარმოდგენილი, 2022 წლის დეკემბერში წარმოდგენილი პროგნოზის მსგავსად. ამასთან, გლობალურად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების ფონზე და მიმდინარე წლის პირველი 10 თვის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შემცირებულია ფასების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები და შეცვლილია საგარეო სექტორთან დაკავშირებული ინდიკატორები.

ცხრილი №1. ძითითადი ვარაუდები და დაშვებები

	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	10.0%	5.0%	5.2%	5.2%	5.0%	
ახალი პროგნოზი	10.4%	6.5%	5.2%	5.0%	5.0%	5.0%
სხვაობა	0.4%	1.5%	0%	-0.2%	0.0%	
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	9.5%	5.0%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	9.1%	3.1%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	-0.4%	-1.9%	0.0%	0.0%	0.0%	
საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, %						
წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	14.6%	13.6%	12.6%	11.6%	10.6%	
ახალი პროგნოზი	16.5%	15.5%	14.4%	13.4%	12.4%	11.4%
სხვაობა	1.8%	1.8%	1.8%	1.8%	1.8%	
საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	9.3%	8.8%	8.2%	7.7%	7.2%	
ახალი პროგნოზი	11.3%	10.8%	10.3%	9.8%	9.3%	8.8%
სხვაობა	2.1%	2.1%	2.1%	2.1%	2.1%	

ცხრილი №1 გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილში შეტანილია 2022 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. 2022 წელს ეკონომიკური ზრდა როგორც თავდაპირველ პროგნოზზე, ასევე ბოლო ცვლილების შედეგად ნავარაუდევზე მაღალი აღმოჩნდა (0.4 პროცენტული პუნქტით), რაც გარკვეულწილად გამოწვეულია პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების მოხსნის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის მოსალოდნელზე მაღალი აქტივობით. 2023 წლის ახალი საპროგნოზო მაჩვენებელი 6.5 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება წინა წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს და გამოწვეულია მოსალოდნელზე მაღალი საგარეო და ასევე მთლიანად ეკონომიკური აქტივობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი 10 თვის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდა ხასიათდება აღდგენის სწრაფი ტენდენციით.

შემცირებულია მშპ-ს დეფლატორის როგორც 2022 წლის ფაქტობრივი, ისე 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის მშპ დეფლატორთან დაკავშირებულ პროგნოზებს შორის განსხვავება არ შეინიშნება. მიმდინარე პერიოდში დეფლატორის შემცირებული პროგნოზი კი მნიშვნელოვნად არის გამოწვეული სურსათზე და ნავთობსა და ნედლეულზე შემცირებული ფასებით, რასაც თან ახლავს მიწოდების ჯაჭვების აღდგენითი პროცესები. შედარებით დაბალი ინფლაციური მოლოდინები აისახა საპროცენტო განაკვეთებზეც. ზოგადი ფასების დონის და მათ შორის მშპ-ს დეფლატორის ცვლილების შედეგად, შესაბამისად გადაიხედა ნომინალური მშპ-ს პროგნოზებიც.

ცხრილი №2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

(მილიონი ლარი)	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგ.
ნომინალური მშპ-ის წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	72,276.3	79,684.6	86,343.0	93,557.8	101,182.8	
ნომინალური მშპ-ის ახალი პროგნოზი	72,265.7	79,350.4	85,980.9	92,988.4	100,566.9	108,763.1

ცხრილი №2 გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს პროგნოზების ცვლილებას საშუალოვადიან პერიოდში. 2022 წლის ნომინალური მშპ-ს ფაქტობრივი მნიშვნელობა მშპ-ს წინა პროგნოზს (2022 წლის დეკემბერი) მცირედით ჩამოუვარდება, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია მშპ-ს დეფლატორის მოსალოდნელზე დაბალი ზრდით. ამასთან, ზოგადი ფასების დონის ნაკლები ტემპით ზრდის (გარკვეული სასაქონლო კატეგორიების შემთხვევაში კლებაც ფიქსირდება) შედეგად, 2023 წელს 2022 წლის დეკემბრის პროგნოზთან შედარებით შემცირებულია მშპ-ს დეფლატორის პროგნოზიც. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ტენდენციებისა და დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, 2023 წლის რეალური მშპ-ს ზრდის ახალი პროგნოზი აღემატება 2022 წლის პროგნოზს, დეფლატორის შემცირებული საპროგნოზო მაჩვენებელების გამო შემცირებულია ნომინალური მშპ-ს პროგნოზიც როგორც 2023 წლისთვის, ისე - საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

ცხრილი №3. ნაერთი ბიუჯეტი

(მილიონი ლარი)	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	მოსალ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლების ძველი პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	19,217.0	20,805.0	22,076.0	23,794.0	25,704.0	
შემოსავლების ახალი პროგნოზი	19,377.6	21,640.0	24,398.0	26,124.0	27,788.0	29,868.0
ცვლილება	160.6	835.0	2,322.0	2,330.0	2,084.0	
მ.შ. გადასახადები	35.9	520.0	1,837.0	1,915.0	1,729.0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	21,678.0	23,536.0	24,274.0	26,142.0	28,047.0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის ახალი პროგნოზი	21,579.1	24,320.0	26,978.0	28,472.0	30,178.0	32,460.0
ცვლილება	-98.9	784.0	2,704.0	2,330.0	2,131.0	

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია №3 ცხრილში. როგორც ვხედავთ, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები გაზრდილია, რაც ძირითადად გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით არის განპირობებული.

რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელს, მისი პროგნოზებიც გაზრდილია 2022 წლის დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით, რაც ითვალისწინებს მეტწილად ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარების ზრდიდან გამომდინარე დამატებით დაფინანსებას, ასევე ჯანდაცვის ახალი პოლიტიკის

მიმართულების დაფინანსებას, რაც ასახულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტში. გადამუშავდა 2023 წლის პროგნოზები და შესაბამისად, შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზებიც განახლდა არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

ცხრილი №4 საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტი:

% მშპ-სთან	2022 ფაქტი	2023 მოსალ.	2024 პროგნ.	2025 პროგნ.	2026 პროგნ.	2027 პროგნ.
2023-2026 წლების წინა პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	-3.1%	-2.8%	-2.3%	-2.3%	-2.2%	
2023-2027 წლების ახალი პროგნოზი	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%

ცხრილი №5 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიში	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**2027**
(მლნ აშშ დოლარი)	**ფაქტი**	**მოსალ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**
მიმდინარე ანგარიში - ძველი პროგნოზი (2022 წლის დეკემბერი)	-1403.0	-1887.0	-1774.8	-1682.7	-1546.4	
ცვლილებები სულ	282.8	496.0	275.2	117.8	-57.8	
წმინდა ექსპორტი	436.2	212.2	195.9	186.8	131.1	
პირველადი შემოსავალი	-734.7	-659.4	-849.5	-935.8	-1009.2	
მეორადი შემოსავალი (ტრანსფერები)	581.3	943.2	928.8	866.8	820.3	
მიმდინარე ანგარიში - ახალი პროგნოზი	-1120.2	-1391.1	-1499.6	-1565.0	-1604.2	-1618.7

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის ბალანსს დოლარებში, საპროგნოზო მაჩვენებლები უფრო მეტად არის გაუმჯობესებული 2023-2025 წლებისთვის, ხოლო 2026 წლისთვის უმნიშვნელოდ გაუარესებულია. გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის პროგნოზი ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლების ბალანსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით არის გამოწვეული, რაც ზრდის მეორად შემოსავალს, ძირითადად კერძო სექტორის მხრიდან. ასევე გაუმჯობესებულია საქონლისა და მომსახურების ბალანსი (ძირითადად ტურიზმის ზრდის ხარჯზე). რაც შეეხება პირველად შემოსავალს, მოსალოდნელია მისი შემცირება, ვიდრე - 2022 წლის დეკემბერში იყო მოსალოდნელი.

მიმდინარე ანგარიშის ცვლილება 2024 წლისთვის გამოწვეულია ძირითადად ტრანსფერების ზრდით, ხოლო მეორე მხრივ წმინდა ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლებიც დეკემბრის პროგნოზებთან შედარებით უფრო მაღალია, რაც ძირითადად მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდოს ზრდას უკავშირდება. აღნიშნული ცვლილებები ძირითადი წყარო აღმოჩნდა პროგნოზის გაზრდის მიმართულებით.

2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალური წესებთან შესაბამისობა

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება

ფისკალური ჩარჩოს შედარება მოიცავს 2020 წელს მომზადებული 2021-2024 წლის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული პროგნოზების შედარებას 2021 წლის ბოლოს, 2022 წლის ბოლოს, მიმდინარე წლის ივლისში მომზადებულ და „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართულ განახლებულ საშუალოვადიან პროგნოზებთან.

ახალი კორონავირუსის პანდემიამ 2020 წელს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგად რეალური ეკონომიკის შემცირებამ 6,8% შეადგინა. ეკონომიკურმა ვარდნამ გამოიწვია შემოსავლების შემცირება და ამავდროულად, პანდემიის საპასუხო ღონისძიებებისთვის საჭირო გახდა დამაასდადასდასდატებითი ხარჯების გაწევაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის ვალი და მშპ-ს 60%-ს გადააჭარბა, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 9,3% შეადგინა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. როგორც 2021 წელს, ასევე 2022 წელს ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ თავდაპირველად პროგნოზირებული 4,3%-ის ნაცვლად 10,5%, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0%-ის ნაცვლად 10,1% შეადგინა. ორი წლის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შედეგად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელს არსებული 49,3 მილიარდი ლარიდან 2022 წლის ბოლოსთვის გაიზარდა 71,8 მილიარდ ლარამდე.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ 2022 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 2020 წელს არსებული მშპ-ს 9,3%-დან შემცირდა მშპ-ს 3,1%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი 2020 წლის 60,2%-ის ნაცვლად 39,8%-მდე.

2023 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 5%-იანი რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, რომლის ფარგლებშიც საგადასახადო შემოსავლების გეგმამ 18,9 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა მშპ-ს 2,8%-ის ოდენობით.

2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 7,6% შეადგინა, ხოლო 9 თვის ეკონომიკურმა ზრდამ საშუალოდ 6,8% შეადგინა, რისი გათვალისწინებითაც 2023 წელს მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდა 6,5%-ის ფარგლებში.

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტი საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2023 წლის სექტემბრის ბოლოს. საპარლამენტო განხილვების დროს გამოთქმული წინადადებების ნაწილი აისახა საქართველოს პარლამენტის დასკვნაში და შესაბამისად მთავრობის მიერ მოხდა აღნიშნულ დასკვნაში არსებული შენიშვნებისა და წინადადებების გაანალიზება.

ამავდროულად, ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის წარდგენის შემდგომ დაზუსტდა 2024 წლის ფისკალური რესურსის მოცულობა და მისი ზრდის შესაძლო წყაროები.

განახლებული ფისკალური რესურსი აისახა 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში და გადანაწილდა როგორც პარლამენტის დასკვნაში წარმოდგენილ წინადადებებზე, ასევე სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზეც.

2024 წლის ბიუჯეტიც დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,2%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ს შეადგენს;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3%-ს შეადგენს და იგივე მაჩვენებელი შენარჩუნებულია მომდევნო წლებშიც;
- საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია და 2,8%-ს შეადგენს;
- ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 86,0 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 8 500 დოლარს აჭარბებს. 2027 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 108,8 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 10 800 დოლარს გადააჭარბებს;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2,5%-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 38,0%-ის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით, 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განსაზღვრული იყო 21 942,3 მლნ ლარის ოდენობით, რაც იძლეოდა საშუალებას 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად განსაზღვრულიყო 27,5 მლრდ ლარის ფარგლებში.

ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტის წარმოდგენის შემდგომ დამატებით გაანალიზდა საფინანსო სექტორის მონაცემები და გადაანგარიშებულ იქნა მათ მიერ 2024 წელს ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადი. არსებული მონაცემების მიხედვით, საფინანსო სექტორის მიერ გადახდილი მოგების გადასახადის სავარაუდო მოცულობა მიაღწევს 900,0 მლნ ლარს, რაც 100,0 მლნ ლარით გადამუშავებულ ვარიანტში არსებულ გეგმიურ მაჩვენებელს. ასევე ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მცირე, საგადასახადო შემოსავლების შესრულების გაანალიზების საფუძველზე მცირე კორექტირებებია საგადასახადო შემოსავლების სახეებში და ჯამურად საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი იზრდება 110,7 მლნ ლარით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარე წლის 24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მოგების განკარგვის თაობაზე, კერძოდ, კომპანია 50,0 მლნ ლარს მიმართავს სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით, ხოლო 22,0 მილიონ ლარს მიმართავს რეგიონებში გაზიფიცირების სამუშაოების დასაფინანსებლად.

ჯამში საგადასახადო შემოსავლების განახლებული მაჩვენებლის და დივიდენდის ზრდის შედეგად ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 160,0 მლნ ლარზე მეტით და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მიაღწევს 28,7 მლრდ ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაიხედა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაგეგმილი მაჩვენებლები და არსებული გამოწვევების საპასუხოდ, დაგეგმილი პროგრამების სრულფასოვნად განსახორციელებლად. შესაბამისად განახლდა მიმდინარე წლის და შემდგომი წლების პროგნოზები. 2023 წლის და 2024-2027 წლების მოსალოდნელ პროგნოზებში გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების გაზრდა. ასევე, გაზრდილია კაპიტალური ხარჯების პროგნოზები. გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის როგორც შემოსავლები, ასევე გადასახდელები, როგორც მიმდინარე წლის ივლისში მომზადებულ პროგნოზებში, ასევე 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილ პროგნოზებში, ამასთან შენარჩუნებულია ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის იგივე მაჩვენებელი.

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა 2023 წელს შეადგინა 2.9%, ხოლო 2024 წელს 2,6%, საშუალოვადიან პერიოდში კი შენარჩუნებულია 2,1%-ის ფარგლებში.

საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები

2021 წლის განმავლობაში დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, წლის განმავლობაში განახლდა მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები. 2021 წელს ორჯერ განხორციელდა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილება. პანდემიის თანმდევი ეკონომიკური შეზღუდვების მინიმიზების პარალელურად და ვაქცინაციის დაბალი ტემპის პირობებში, ვირუსის გავრცელება შენარჩუნდა საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე, რამაც დღის წესრიგში დააყენა როგორც დაავადებულთა მკურნალობის ხარჯების, საწოლების მობილიზების, ასევე ტესტების, ვაქცინის შესყიდვასთან და გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ხარჯების, პანდემიის მართვაში ჩართული სამედიცინო პერსონალის დანამატების ანაზღაურების, ასევე ვაქცინაციის მოცვის გაზრდისთვის წამახალისებელი პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო სახსრების დამატებით გათვალისწინება. ასევე, გათვალისწინებულ იქნა პანდემიიდან გამომდინარე, სოციალური მხარდაჭერის და ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები.

2022-2025 წლების პროგნოზები, რომელიც მომზადდა 2021 წლის ბოლოს ნაწილობრივ კვლავ დაიგეგმა პანდემიის ფონზე და გათვალისწინებულ იქნა 2020 წელს შემოსავლების ფაქტიური დანაკლისის ეფექტი. 2021 წლის გადასახდელების ნაწილის ზრდის მიუხედავად სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-თან მიმართებაში და 2021 წლის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6.2%.

2022-2025 წლების პროგნოზში, რომელიც მომზადდა 2021 წლის დეკემბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 2022 წელს მშპ-სთან მიმართებაში 26.5% შეადგინა. შემოსავლების პროგნოზები პანდემიის პირობებში 2020 და 2021 წლებში დაიგეგმა უფრო ნაკლები მოცულობით, თუმცა 2022 წლის განმავლობაში, არსებული დადებითი ტენდენციებიდან გამომდინარე, განახლდა პროგნოზები და აისახა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების დროს. 2022 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად 2,2 მლრდ ლარით გაიზარდა 2021 წლის ბოლოს დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 19,2 მლრდ ლარი, რაც მშპ-ის 26,6%-ია, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა მშპ-ის 27%.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მომზადებული 2023 წლის პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა ნომინალურ გამოხატულებაში 20 805,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც მშპ-სთან მიმართებაში 26,1%-ია, თუმცა მიმდინარე წელს გადამუშავებული მოსალოდნელი მაჩვენებლების მიხედვით საგადასახადო შემოსავლები ივლისში მომზადებულ პროგნოზში გაზრდილია 410,0 მლნ ლარით. ამასთან, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე თანდართულ პროგნოზებში, აღნიშნული მაჩვენებელი დამატებით 425,0 მლნ ლარით არის გაზრდილი და შეადგენს 21 640,0 მლნ ლარს, რაც მშპ-ის 27.5%-ს შეადგენს.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები პროგნოზირებულია 24 398,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 28,4%-ია, ხოლო საშუალოვადიან პერიოდის პროგნოზებში შენარჩუნებულია საშუალოდ 28,0%-ის ფარგლებში.

შემოსულობების პროგნოზების შედარება და მშპ-სთან პროცენტული ცვლილებები მოცემულია №6 ცხრილში:

ცხრილი №6 - შემოსულობების პროგნოზები

მლნ ლარი/

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლები								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	12 626.0	13 402.0	14 969.0	16 331.0	17 827.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	12 407.0	14 928.0	17 205.0	18 228.0	19 732.0	21 266.0		
ცვლილება	*-219.0*	*1 526.0*	*2 236.0*	*1 897.0*	*1 905.0*	*21 266.0*		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	12 407.0	15 142.7	19 217.0	20 805.0	22 076.0	23 794.0	25 704.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	12 407.0	15 142.7	19 377.6	21 215.0	22 800.0	24 500.0	26 400.0	28 490.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*160.6*	*410.0*	*724.0*	*706.0*	*696.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*12 407.0*	*15 142.7*	*19 377.6*	*21 640.0*	*24 398.0*	*26 124.0*	*27 788.0*	*29 868.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*425.0*	*1 598.0*	*1 624.0*	*1 388.0*	*1 378.0*
არაფინანსური აქტივების კლება								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-150.0	-250.0	-250.0	-250.0	-250.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-207.9	-480.0	-450.0	-250.0	-250.0	-250.0		
ცვლილება	*-57.9*	*-230.0*	*-200.0*	*0.0*	*0.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-207.9	-421.7	-450.0	-350.0	-300.0	-300.0	-250.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-207.9	-421.7	-435.6	-350.0	-300.0	-300.0	-250.0	-250.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*14.4*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*-207.9*	*-421.7*	*-435.6*	*-350.0*	*-350.0*	*-300.0*	*-300.0*	*-300.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*-50.0*	*0.0*	*-50.0*	*-50.0*
ფინანსური აქტივების კლება								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-130.0	-150.0	-115.0	-115.0	-115.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-167.4	-210.0	-130.0	-130.0	-130.0	-130.0		
ცვლილება	*-37.4*	*-60.0*	*-15.0*	*-15.0*	*-15.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-167.4	-142.2	-150.0	-440.0	-130.0	-130.0	-130.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-167.4	-142.2	-102.4	-440.0	-130.0	-130.0	-130.0	-130.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*47.6*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-167.4	-142.2	-102.4	-420.0	-270.0	-130.0	-130.0	-130.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*20.0*	*-140.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*
% მშპ-თან								
შემოსავლები								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	25.6%	25.1%	25.7%	25.8%	26.0%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	25.2%	25.5%	26.5%	25.9%	25.8%	25.7%		

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ცვლილება	*-0.4%*	*0.4%*	*0.8%*	*0.1%*	*-0.1%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	25.2%	25.2%	26.6%	26.1%	25.6%	25.4%	25.4%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	25.2%	25.2%	27.0%	27.2%	26.9%	26.8%	26.7%	26.6%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.4%*	*1.0%*	*1.4%*	*1.3%*	*1.3%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	25.2%	25.2%	26.8%	27.3%	28.4%	28.1%	27.6%	27.5%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*-0.2%*	*0.1%*	*1.4%*	*1.3%*	*1.0%*	*0.9%*
არაფინანსური აქტივების კლება								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-0.3%	-0.5%	-0.4%	-0.4%	-0.4%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-0.4%	-0.8%	-0.7%	-0.4%	-0.3%	-0.3%		
ცვლილება	*-0.1%*	*-0.4%*	*-0.3%*	*0.0%*	*0.0%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-0.4%	-0.7%	-0.6%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.2%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-0.4%	-0.7%	-0.6%	-0.4%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.2%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-0.4%	-0.7%	-0.6%	-0.4%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.3%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*
ფინანსური აქტივების კლება								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-0.3%	-0.3%	-0.2%	-0.2%	-0.2%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-0.3%	-0.4%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%		
ცვლილება	*-0.1%*	*-0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-0.3%	-0.2%	-0.2%	-0.6%	-0.2%	-0.1%	-0.1%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-0.3%	-0.2%	-0.1%	-0.6%	-0.2%	-0.1%	-0.1%	-0.1%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-0.3%	-0.2%	-0.1%	-0.5%	-0.3%	-0.1%	-0.1%	-0.1%
ცვლილება	*-0.3%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.2%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*

2020 და 2021 წლებში, საგარეო ვალის აღებაში ასახულია პანდემიის გასამკლავებლად მოზიდული სახსრები. ამასთან, 2022 წელს საგარეო ვალდებულებების შემცირება 2021 წელთან შედარებით დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 2021 წლის განხორციელდა 1.7 მილიარდი ლარის ახალი ევრობონდის გამოშვება ევრობონდების გადაფარვის მიზნით და 2021 წლის საგარეო ვალდებულებების გაზრდილი მოცულობა აღნიშნულით იყო გამოწვეული. შესაბამისად, შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი შემცირებულია. მიმდინარე წელს საგარეო ვალის ნაწილში ვალდებულებების ზრდის შემცირება გამოწვეულია საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან გამოყოფილი კრედიტების შემცირებით, ათვისებიდან გამომდინარე.

ამასთან, ჯამში ვალდებულებების ზრდა 2023 წელს და შემდგომ საშუალოვადიან პერიოდში შემცირებულია წინა წლის და მიმდინარე წლის ივლისის პროგნოზთან შედარებით.

2024 წელს ვალდებულებების ზრდა გათვალისწინებულია მშპ-ის 3,8%-ის ფარგლებში (მიმდინარე წლის ივლისის პროგნოზთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია ძირითადად საგარეო ვალის ნაწილში). საშუალოვადიან პერიოდში ვალდებულებების ზრდა საშუალოდ მშპ-სთან მიმართებაში 4,1%-ის ფარგლებშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7) წარმოდგენილია ვალდებულებების ზრდის პროგნოზები 2024-2027 წლებისთვის:

ცხრილი №7 - ვალდებულებების ზრდის პროგნოზები

(მლნ ლარი)

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ვალდებულებების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	7 166.0	5 249.0	3 120.0	3 650.0	4 115.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	7 274.3	4 955.0	4 337.0	3 485.0	3 485.0	3 485.0		
ცვლილება	*108.3*	*-294.0*	*1217.0*	*-165.0*	*-630.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	7 274.3	5 216.9	3 582.0	3 584.0	3 560.0	3 660.0	5 020.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	7 274.3	5 216.9	3 722.8	3 629.0	3 595.0	3 695.0	5 055.0	3 820.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*140.8*	*45.0*	*35.0*	*35.0*	*35.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*7 274.4*	*5 216.9*	*3 722.8*	*3 210.0*	*3 259.0*	*3 625.0*	*4 985.0*	*3 835.0*
ცვლილება	*0.1*	*0.0*	*0.0*	*-419.0*	*-336.0*	*-70.0*	*-70.0*	*15.0*
მ.შ. საშინაო								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	1 841.0	-30.0	975.0	1 175.0	1 475.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	2 010.0	-335.0	1 285.0	1 385.0	1 485.0	1 485.0		
ცვლილება	*169.0*	*-305.0*	*310.0*	*210.0*	*10.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	2 010.0	-336.7	1 240.0	1 340.0	1 460.0	1 560.0	1 620.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	2 010.0	-336.7	1 337.3	1 385.0	1 495.0	1 595.0	1 655.0	1 820.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*97.3*	*45.0*	*35.0*	*35.0*	*35.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*2 010.0*	*-336.7*	*1 337.3*	*1 330.0*	*1 420.0*	*1 525.0*	*1 585.0*	*1 685.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*-55.0*	*-75.0*	*-70.0*	*-70.0*	*-135.0*
მ.შ. საგარეო								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	5325.0	5279.0	2145.0	2475.0	2640.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	5 264.3	5 290.0	3 052.0	2 100.0	2 000.0	2 000.0		
ცვლილება	*-60.7*	*11.0*	*907.0*	*-375.0*	*-640.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	5 264.3	5 553.6	2 342.0	2 244.0	2 100.0	2 100.0	3 400.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	5 264.3	5 553.6	2 385.5	2 244.0	2 100.0	2 100.0	3 400.0	2 000.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*43.5*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*5 264.3*	*5 553.6*	*2 385.5*	*1 880.0*	*1 839.0*	*2 100.0*	*3 400.0*	*2 150.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*-364.0*	*-261.0*	*0.0*	*0.0*	*150.0*
% მშპ-თან								

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ვალდებულებების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	14.5%	9.8%	5.4%	5.8%	6.0%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	14.8%	8.5%	6.7%	4.9%	4.6%	4.2%		
ცვლილება	*0.2%*	*-1.4%*	*1.3%*	*-0.8%*	*-1.4%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	14.8%	8.7%	5.0%	4.5%	4.1%	3.9%	5.0%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	14.8%	8.7%	5.2%	4.6%	4.2%	4.0%	5.1%	3.6%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.2%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	14.8%	8.7%	5.2%	4.0%	3.8%	3.9%	5.0%	3.5%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.6%*	*-0.5%*	*-0.1%*	*-0.1%*	*0.0%*
მ.შ. საშინაო								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	3.7%	-0.1%	1.7%	1.9%	2.2%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	4.1%	-0.6%	2.0%	2.0%	1.9%	1.8%		
ცვლილება	*0.4%*	*-0.5%*	*0.3%*	*0.1%*	*-0.2%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	4.1%	-0.6%	1.7%	1.7%	1.7%	1.7%	1.6%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	4.1%	-0.6%	1.9%	1.8%	1.8%	1.7%	1.7%	1.7%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	*0.1%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	4.1%	-0.6%	1.9%	1.7%	1.7%	1.6%	1.6%	1.5%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.1%*	*-0.2%*
მ.შ. საგარეო								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	10.8%	9.9%	3.7%	3.9%	3.8%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	10.7%	9.0%	4.7%	3.0%	2.6%	2.4%		
ცვლილება	*-0.1%*	*-0.8%*	*1.0%*	*-0.9%*	*-1.2%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	10.7%	9.3%	3.2%	2.8%	2.4%	2.2%	3.4%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	10.7%	9.3%	3.3%	2.9%	2.5%	2.3%	3.4%	1.8%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	10.7%	9.3%	3.3%	2.4%	2.1%	2.3%	3.4%	2.0%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*-0.5%*	*-0.3%*	*0.0%*	*-0.1%*	*0.1%*

პანდემიის საპასუხო ღონისძიებების დაფინანსების შედეგად, 2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე ხარჯების მოცულობა და მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 26,3%, ხოლო 2021 წელს 24,6% შეადგინა. თუმცა, 2022 წელს პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა. 2022 წელს მიმდინარე ხარჯების ფაქტიური მოცულობამ ჯამში შეადგინა 15,6 მლრდ ლარი, რაც მშპ-ს 21,6%-ს შეადგენს.

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მოცულობა 2022 წლის დეკემბერში დაიგეგმა 17.4 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 21,9%-ის ფარგლებშია, თუმცა გადამუშავებულ პროგნოზებში მიმდინარე ხარჯების მოცულობა გაზრდილია 17,8 მლრდ ლარამდე, რაც მშპ-ის 22,5%-ია.

2023 წელს მიმდინარე ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ბენეფიციარების გაზრდით, ასევე, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში DRG-ის (დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები) პრინციპით სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სატარიფო სისტემით გადახდის მექანიზმების სრულყოფილად დანერგვის დაწყებით, რაც საწყის ეტაპზე მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების უფრო ეფექტიან გამოყენებას. ამასთან, მიმდინარე წელს 2023 წლის ბიუჯეტის კანონში ცვლილებით ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გათვალისწიებული იქნა ახალი პოლიტიკის მიმართულების დაფინანსება, რაც გულისხმობს 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის (300-მდე პაციენტი) მკურნალობის დაფინანსებას უცხოეთის წამყვან კლინიკებში, ქვეყნის ფარგლებში უახლესი სტანდარტების მქონე პედიატრიული ონკოლოგიის ცენტრის შექმნამდე.

გარდა ამისა, 2024 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 700,0 მლნ ლარით, ამავე მოცულობით იზრდება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც და შეადგინა 28,7 მლრდ ლარი.

2024 წელს მიმდინარე ხარჯები შეადგენს 20,1 მლრდ ლარს, რაც მშპ-ის 23,3%-ს. მიმდინარე წლის ივლისის პროგნოზთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 546,0 მლნ ლარით, ხოლო 2024 წელს არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდა ჯამში მშპ-სთან მიმართებაში 8,3%-ის ფარგლებშია ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 7%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული.

2024 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს:

- **სოციალური მიმართულებით**

  ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება დამატებით გაზრდილია 29,2 მლნ ლარით და ჯამში შეადგენს 7 829,2 მლნ ლარს.

  ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებული იყო:
  - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიის ზრდა 50 ლარით და განისაზღვრება 415 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 500 ლარს გაუტოლდება;
  - 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 315 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 380 ლარს გაუტოლდება;
  - გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 50 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;
  - სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიებისთვის არსებული ზედა ზღვრის (560 ლარი) გადაანგარიშება 1 000 ლარამდე, ამავდროულად პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე, ნამსახურების თითო წელს განსაზღვრული თანხის საშუალოდ 28%-იან ზრდას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ პირთა კომპენსაციები, რომლებიც იღებდნენ მაქსიმალურ ზღვარს, ხოლო სხვა პირთა კომპენსაცია გაიზრდება საშუალოდ 28%-ით;
  - საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 7 ლარიანი მოცულობა გაიზრდება 40 ლარამდე, 22 ლარიანი - 60 ლარამდე, ხოლო 44 ლარიანი - 80 ლარამდე;
  - გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან 200 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარების სრული წლის დაფინანსება;

- დაიწყება ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მრავალშვილიანი უსახლკარო ოჯახებისთვის განხორციელდება საცხოვრებელი სახლების შესყიდვა;
- ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1,7 მილიარდი ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა. პენსიონერთათვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება სრული წლის განმავლობაში.
- დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 230,0 მლნ ლარი.
- ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში, გურიაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა (ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციებისთვის გამოყოფილია 15,0 მლნ ლარი.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან გამოიყოფა 300,0 მლნ ლარზე მეტი.

- **განათლების მიმართულებით**

  განათლების და მეცნიერების მიმართულებით წარმოდგენილი ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ცვლილებები არ განხორციელებულა. დაფინანსება ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან შედარებით, გადამუშავებულ ვარიანტში გაიზარდა 160,0 მლნ ლარით (ჯამურად იზრდება 580,0 მლნ ლარით), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია:
  - საჯარო სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა - სრული დატვირთვის მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება გაიზრდება 500 ლარით;
  - საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 450,0 მლნ ლარამდე;
  - საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 225,0 მლნ ლარზე მეტი;

  გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

- **კულტურისა და სპორტის** დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 850,0 მლნ ლარზე მეტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 480,0 მლნ ლარი.

- **თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით:**

  - თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება ამ ეტაპზე უცვლელია, თუმცა მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია 250,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - თავდაცვის ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 330,0 მლნ ლარი;

- **ინფრასტრუქტურა**

ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 6,7 მილიარდ ლარამდე, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,7 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1,2 მილიარდ ლარზე მეტი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 2,1 მილიარდ ლარზე მეტი. აღნიშნული მიმართულებით ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით დამატებით გამოიყო 136,0 მლნ ლარი, მათ შორის დამატებით 130 მლნ ლარი გამოყოფილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის და მისი მოცულობა შეადგენს 580,0 მლნ ლარს;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 500,0 მლნ ლარამდე;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 800,0 მლნ ლარზე მეტი;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გათვალისწინებულია 170,0 მლნ ლარზე მეტი;
- ენერგო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებულია 120,0 მლნ ლარი.

- **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის** მიზნით 2024 წელს გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარზე მეტი.

- **სოფლის მეურნეობის** პროგრამების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 580,0 მლნ ლარზე მეტი;

- **გარემოს დაცვის** პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 180,0 მლნ ლარზე მეტი;

- **საჯარო მოხელეთა ანაზღაურება**
  2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2024 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №8) წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის:

ცხრილი №8 - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები

მლნ ლარი

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ხარჯები								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	12 921.0	13 407.0	13 518.0	14 434.0	15 243.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	12 959.6	14 688.0	14 753.0	15 768.0	16 887.0	18 071.0		
ცვლილება	*38.6*	*1 281.0*	*1 235.0*	*1 334.0*	*1 644.0*	*18 071.0*		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	12 959.6	14 767.2	15 743.0	17 416.0	18 364.0	19 832.0	21 357.0	

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	12 959.6	14 767.2	15 610.9	17 653.0	19 525.0	20 990.0	22 514.0	24 221.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*-132.1*	*237.0*	*1 161.0*	*1 158.0*	*1 157.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*12 959.6*	*14 767.2*	*15 610.9*	*17 841.0*	*20 071.0*	*21 792.0*	*23 558.0*	*25 520.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*188.0*	*546.0*	*802.0*	*1 044.0*	*1 299.0*
კაპიტალური ხარჯები								
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	4 055.0	4 236.0	4 100.0	3 960.0	4 480.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	4 229.4	4 688.0	5 679.0	4 669.0	5 024.0	5 374.0		
ცვლილება	*174.4*	*452.0*	*1 579.0*	*709.0*	*544.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	4 229.4	4 591.0	5 935.0	6 120.0	5 910.0	6 310.0	6 690.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	4 229.4	4 591.0	5 968.2	6 200.0	5 600.0	5 800.0	6 200.0	6 700.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*33.2*	*80.0*	*-310.0*	*-510.0*	*-490.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*4 229.4*	*4 591.0*	*5 968.2*	*6 479.0*	*6 907.0*	*6 680.0*	*6 620.0*	*6 940.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*279.0*	*1 307.0*	*880.0*	*420.0*	*240.0*
ფინანსური აქტივების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	190.0	241.0	250.0	250.0	250.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	204.0	155.0	205.0	250.0	250.0	250.0		
ცვლილება	*14.0*	*-86.0*	*-45.0*	*0.0*	*0.0*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	204.0	180.4	390.0	320.0	250.0	250.0	250.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	204.0	180.4	443.5	320.0	250.0	250.0	250.0	250.0
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*53.5*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	*204.0*	*180.4*	*443.5*	*290.0*	*227.0*	*260.0*	*260.0*	*265.0*
ცვლილება	*0.0*	*0.0*	*0.0*	*-30.0*	*-23.0*	*10.0*	*10.0*	*15.0*
% მშპ-თან								
ხარჯები								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	26.2%	25.1%	23.2%	22.8%	22.2%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	26.3%	25.1%	22.8%	22.4%	22.1%	21.8%		
ცვლილება	*0.1%*	*0.0%*	*-0.5%*	*-0.4%*	*-0.1%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	26.3%	24.6%	21.8%	21.9%	21.3%	21.2%	21.1%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	26.3%	24.6%	21.8%	22.6%	23.1%	22.9%	22.7%	22.6%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.7%*	*1.8%*	*1.7%*	*1.6%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	26.3%	24.6%	21.6%	22.5%	23.3%	23.4%	23.4%	23.5%

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*-0.2%*	*-0.1%*	*0.3%*	*0.5%*	*0.7%*	*0.8%*
კაპიტალური ხარჯები								
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	8.2%	7.9%	7.0%	6.3%	6.5%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	8.6%	8.0%	8.8%	6.6%	6.6%	6.5%		
ცვლილება	*0.4%*	*0.1%*	*1.7%*	*0.4%*	*0.0%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	8.6%	7.7%	8.2%	7.7%	6.8%	6.7%	6.6%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	8.6%	7.7%	8.3%	7.9%	6.6%	6.3%	6.3%	6.3%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.3%*	*-0.2%*	*-0.4%*	*-0.4%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	8.6%	7.7%	8.3%	8.2%	8.0%	7.2%	6.6%	6.4%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*-0.1%*	*0.2%*	*1.4%*	*0.8%*	*0.3%*	*0.1%*
ფინანსური აქტივების ზრდა								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	0.4%	0.5%	0.4%	0.4%	0.4%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	0.4%	0.3%	0.3%	0.4%	0.3%	0.3%		
ცვლილება	*0.0%*	*-0.2%*	*-0.1%*	*0.0%*	*0.0%*			
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.4%	0.3%	0.5%	0.4%	0.3%	0.3%	0.2%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	0.4%	0.3%	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	0.2%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.1%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	0.4%	0.3%	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	0.2%
ცვლილება	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*	*0.0%*

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეული იყო ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს ეკონომიკის კლება დაფიქსირდა, ხოლო პანდემიაზე რეაგირების ღონისძიებებიდან გამომდინარე, გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, 2020 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა მშპ-ის 8.5%, ხოლო 2021 წელი დაიგეგმა 7.7%-ის ფარგლებში.

2021 წლიდან ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულზე სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე, წლის ბოლოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,2%, დაგეგმილ მაჩვენებელთან (7.7%) შედარებით. შესაბამისად დაგეგმილთან შედარებით შესაძლებელი

გახდა დეფიციტის კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში ჩამოსვლა განხორციელებულიყო უფრო თანაბარი ტემპით. 2022 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი იყო 4,2 პროცენტის ფარგლებში, ხოლო 2022 წლის ფაქტიურმა მაჩვენებელი ჩამოცდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს და მშპ-სთან მიმართებაში 2,7% შეადგინა. 2023 წლისათვის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაიგეგმა (-2 261,0) მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2,8%-ს შეადგენს, ამასთან გადამუშავებულ პროგნოზებში, 2023 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ს (-2 346,0 მლნ ლარი) შეადგენს.

2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო მიმდინარე წლის ივლისის პროგნოზთან შედარებით გაზრდილია 395,0 მლნ ლარით და შეადგენს (-2 230,0) მლნ ლარს, რაც მშპ-ის 2,6%-ია.

2024 წლისთვის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაგეგმილი იყო (-1 868,0) მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2,2 პროცენტია, გადამუშავებულ პროგნოზებში 2024 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო შეადგენს (-2 177,0) მლნ ლარს, რაც მშპ-ის 2,5%-ია. საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის მაჩვენებელი 2025 წელს 2,3%, 2026 წელს - 2,2%, ხოლო 2027 წელს 2,2%-ია.

განახლებული პროგნოებით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 177,0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.1%-ით – ჯამი: მშპ-ის 38.1% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობაც 2024 წელს (-2 187,0) მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

2024-2027 წლებში ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტის პროგნოზები და მათი შედარება წინა პერიოდის პროგნოზებთან მოცემულია №9 ცხრილში.

ცხრილი №9 - ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზების შედარება

/მლნ ლარი/

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი								სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი							
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
მთლიანი სალდო (მლნ ლარი)																
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-4 200.0	-4 491.0	-2 899.0	-2 313.0	-2 146.0				-4 188.7	-4 131.9	-2 342.6	-1 819.0	-1 819.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-4 574.2	-4 928.0	-3 677.0	-2 459.0	-2 429.0	-2 429.0			-4 450.0	-3 928.0	-2 750.0	-1 940.0	-1 940.0	-1 959.0		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-4 574.2	-4 637.3	-2 911.0	-3 081.0	-2 498.0	-2 648.0	-2 593.0		-4 450.0	-3 731.5	-1 963.0	-2 261.0	-1 868.0	-2 083.0	-2 153.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-4 574.2	-4 637.3	-2 637.2	-2 988.0	-2 625.0	-2 590.0	-2 564.0	-2 681.0	-4 450.0	-3 795.8	-1 600.5	-2 316.8	-2 023.8	-1 966.0	-2 033.7	-2 214.5
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-4 574.2	-3 793.9	-1 766.0	-2 330.0	-2 230.0	-2 048.0	-2 090.0	-2 292.0	-4 480.7	-3 795.8	-1 600.5	-2 346.0	-2 177.0	-2 158.0	-2 167.0	-2 396.0
% მშპ-სთან																
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-8.5%	-8.4%	-5.0%	-3.7%	-3.1%				-8.5%	-7.7%	-4.0%	-2.9%	-2.7%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-9.3%	-8.4%	-5.7%	-3.5%	-3.2%	-2.9%			-9.0%	-6.7%	-4.2%	-2.8%	-2.5%	-2.4%		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-9.3%	-7.7%	-4.0%	-3.9%	-2.9%	-2.8%	-2.6%		-9.0%	-6.2%	-2.7%	-2.8%	-2.2%	-2.2%	-2.1%	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-9.3%	-7.7%	-3.7%	-3.8%	-3.1%	-2.8%	-2.6%	-2.5%	-9.0%	-6.3%	-2.2%	-3.0%	-2.4%	-2.1%	-2.1%	-2.1%
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-9.3%	-6.3%	-2.4%	-2.9%	-2.6%	-2.2%	-2.1%	-2.1%	-9.1%	-6.3%	-2.2%	-3.0%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა) /მლნ ლარი/								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-4 470.0	-4 882.0	-3 264.0	-2 678.0	-2 511.0			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-4 595.9	-5 293.0	-4 012.0	-2 839.0	-2 809.0	-2 809.0		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-4 595.9	-4 790.0	-3 451.0	-3 841.0	-2 878.0	-3 028.0	-2 973.0	
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-4 595.9	-4 790.0	-3 279.0	-3 748.0	-3 005.0	-2 970.0	-2 944.0	-3 061.0
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-4 595.9	-3 662.2	-2 203.0	-2 200.0	-2 187.0	-2 178.0	-2 220.0	-2 427.0
% მშპ-სთან								
2021-2024 (2020 წლის დეკემბერი)	-9.1%	-9.1%	-5.6%	-4.2%	-3.7%			
2022-2025 (2021 წლის დეკემბერი)	-9.3%	-9.0%	-6.2%	-4.0%	-3.7%	-3.4%		
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-9.3%	-8.0%	-4.8%	-4.8%	-3.3%	-3.2%	-2.9%	-2.9%
2024-2027 (2023 წლის ივლისი)	-9.3%	-8.0%	-4.6%	-4.8%	-3.5%	-3.2%	-3.0%	-2.9%
2024-2027 (2023 წლის ნოემბერი)	-9.3%	-6.1%	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%

3. მთავრობის ვალი

მთავრობის ვალი (მლნ ლარი)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
2022-2025 წლები (2021 წლის დეკემბერი)	29,905	33,123	35,348	37,413	39,417		
% მშპ-სთან	*51.1%*	*51.1%*	*50.2%*	*49.0%*	*47.7%*		
2023-2026 წლები (2022 წლის დეკემბერი)	29,812	28,609	30,539	32,679	34,799	36,819	
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.6%*	*38.3%*	*37.8%*	*37.2%*	*36.4%*	
2024-2027 წლები (2023 წლის ივლისი)	29,812	28,538	30,186	32,658	35,174	37,692	40,215
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.8%*	*38.6%*	*38.6%*	*38.4%*	*38.1%*	*37.7%*
2024-2027 წლები (2023 წლის სექტემბერი)	29,812	28,538	30,292	32,634	35,153	37,785	40,369
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.8%*	*38.4%*	*38.2%*	*38.1%*	*37.8%*	*37.4%*
2024-2027 წლები (2023 წლის ნოემბერი)	29,812	28,538	30,292	32,560	35,152	37,787	40,369
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.8%*	*38.4%*	*38.1%*	*38.1%*	*37.8%*	*37.4%*
2024-2027 წლები (2023 წლის ნოემბერი)	29,812	28,538	30,291	32,711	35,150	37,783	40,368
% მშპ-სთან	*49.7%*	*39.5%*	*38.2%*	*38.0%*	*37.8%*	*37.6%*	*37.1%*

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებლებში ცვლილება 2023 წლის ნოემბრის დასაწყისში მომზადებულ პროგნოზებთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია 2022 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის დაზუსტებით. 2022 წლის განმავლობასი მთლიანი სიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ ნაცვლად 10.1%-სა სეადგინა 10.4% აღნიშნულის გათვალისწინებით 2023 წლის ბოლოს ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება მოსალოდნელია 38.2%-მდე. ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება პროგნოზირებულია შემდეგ წლებშიც, ხოლო 2027 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოვა 37.1%-მდე.

მთავრობის ვალის პორტფელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (2022 წლისთვის - 75%), რის შედეგადაც ვალის მაჩვენებლები მოწყვლადია სავალუტო კურსის ნეგატიური შოკების მიმართ. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის განახლებული სტრატეგია 2023-2026 (https://mof.ge/5231) ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებასთან ერთად, ორიენტირებულია მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებაზე.